


# რეჰადურე




№ 55

საქართველოს რევოლუციური პარტია

№ 55


## ქართველი მეცნიერნი



ვასილი პეტრიაშვილი  
 † 27 ივლისი 1908 წ.

ჩუმი მოღვაწე  
 ნამღვილ — ქართველი!...  
 სიკვდილით ქართველთ  
 გულის მომწყვლელი.

აკაკი



# ბუნების-შეიღობა.

ამს წინედ დავბრუნდი ქუთაისიდან, რომელსაც ვეწვიე ხანგრძლივი განშორების შემდეგ:

ქუთაისი ბუნებისაგან უხვად შემკული ბაღია. დავინახე თუ არა იგი მატარებლის ვაკონიდან, ჩემს სულს სიამე მოეფინა. თბილისი მშრალი, უბუნებო, მზისგან დამწვარი და გაფხევილი ქალაქია. ვინც აქ დიდხანს ცხოვრობს, უეჭვოდ და ვიწროვითი : ქვეს თვით სიტყვა ბუნება და ამ მცნების შინაგანი ვითარება. მთელი ქალაქი რომ დავარდვიოთ, ნაწილ-ნაწილად დავაქუცმაცოთ, ხელთ გვექნება მხოლოდ სამი ელემენტი, სამი ნ. ვითარება – გათლილ-შემუშავებული ხე, ქვა და მშრალი მიწა. ქუთაისის უმთავრესი ელემენტი კი მწვანე მცენარეულობაა, ის ცხოველ-შეოფილი ბუნება, რომელსაც სულითა და გულით მიეღობის ადამიანი. რაც უნდა უარყოფდეს იმის ღირსებას და მნიშვნელობას, ადამიანი ბუნების შეიღობა და შობილისა და მშობლის შორის კავშირი მუდმივია, განუწყვეტელია. დიდ-ხნითაც რომ მოსწუდეს ადამიანი ბუნებას, მოფურსოვს ხალხით სავსე ქალაქში ხანგრძლივობაზე რომ იცხოვროს, დიდებული სასახლეც რომ დაიდგას და სქელი ქანი რომ შემოიკრიბოს, მაინც ამ თავის ბუნების-შეიღობას ვერ უარყოფს და იგი დრო-გამოშვებით კანტი-კუნტად მაინც თავს იჩენს იმის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში

ჩემი აზრის დასურათების და დამტკიცებისთვის შემდეგ მაგალითს მოგიყვან თბილისის ცხოვრებიდან.

ამას წინად მუსტიდიისკენ მივდიოდი ტრამვაის ვაკონით, რომელიც ქუჩის ერთ მოსახლეობას განკრდა ლამაზ სახლის ზირდაზირ, რომელსაც წინ ზატარა ბაღი ქუჩის და გაშენებული. ამ ბაღში დადიოდა ვიღაც კარგად ჩამოყვანილი კაცი. ხელში წყლით სავსე საწოველი ეჭირა და ვვავილებს და მცენარეებს გულ მოდებინებ ქრწევდა. უნებურად ურადლებს მივაქციე ამ სურათს, ცხოვრების ამ თითქმის უმნიშვნელო მოვლენას, რომელიც როცა დაუკვირდებით, უეჭვოდ თავის შინაგან დრმა-აზრობას ვითარებას გავვიხელს. რა რჯიდა ამ მსუქან ქან-შემკრებიელ კაცს, რომელიც ერთი ქმენითა და ცხვირის ფრუტუნით თავის კაზ-წია ბაღში მოძრაობდა და ვვავილებსა და მცენარეებს შორის მუშაობდა? განა არ შეეძლო, თავის რბილ სავარძელში დაბანებულს, აქვე კედელზე მიამკრებულ ელექტრონის ზარის ფოლქაზე თათი დაეჭირა, მოსამსახურე დაქანებოდა და ბანებს გაეცა, რათა ბაღში ვვავილები და მცენარეები მოეწყოთ? განა მოსამსახურე ურჩობას გაუბედავდა? რად შეიწუხა თვითონ თავი, რად იკისრა მძიმე მოვალეობა და ბაღის მოსწავლად თვითონ რად გამოვიდა კარედ? ნათლად სჩანდა, რომ ამ სახლისა და ბაღის ბურჟუა-პატრონის ეს საქმე ემიმებოდა, სწრაფი ვედრა


ისე უხერხულად ეჭირა ხელში, რომ უეჭვოდ ვეღვი დიმილს მოჭკვრიდა. ტანთ თავიდანვე მისი უეჭვოდ სხეუტაი სამოსელი ეცვა; ეშინოდა, რომ დასწრისკენ არ გაწუწულიყო და ამიტომ ვედრა ცოტა განსე, მოსკრებით ეჭირა, მაგრამ წყლით სავსე საწოველის ასე დაკვება, რასაკვირველია, ადვილი საქმე არ იყო. ბურჟუაზი მთელ სხეულის ძარღვების ნაძაღველი და უხერხული დეკორაცია ემზადებდა. მძიმე და მსუქანი ტანი მარცხენა მხრეზე გადაეხინა და ამ მდგომარეობაში მყოფი მან განაგრძობდა მუშაობას

ამ უჩინურ გამოცანას ასინა მხოლოდ მაშინ შეეძლო, როცა არა-ჩვეულებრივ მუშაკის სახეს ჩავსტყვიდა ადამიანის სახე ხომ სულის სარკეა, და ამ სულის შინაგან ვითარებას ნათლად გავვიხელს ხოლმე. რაც უნდა დაუკვირდეს ადამიანის სხეულს, იგი ცალკე ვერაფერს გეტყვის, როგორც ვარაფერს გეტყვის საზოგადოების სხეული, იმისი კარგანი წყობილება. თვითეული ადამიანი და მთელი საზოგადოების მოძრაობა და, შემოქმედებერგია – ადამიანის სულია; ამ სულის თანდაყოლილ თვისებას, მუდმივი წინსვლელობის, განუწყვეტელ-წარმოების შიგ შთანერგილი ძალა, ჩვენ კარგე მყოფობის რაობების შექმნილი, ამოღობობის და გარდამქმნელი შემტველი, ამ ზირობების ვითარებას სასკობით გავვიხელს.

ბაღში მომუშავე მსუქანი ადამიანის სახეს სიამოვნების შუქი ეფინებოდა, ნათლად ეტყობოდა, რომ ბუნების შეიღობა, ვვავილებსა და მცენარეებს შორის მუშაობა, იმისავე ადამიანურსა და ამავე დროს ბუნების – შეიღობ გრძობას ედვიებოდა გულში. სიმდიდრის წყალობით ბუნების მოწვევით და თავის სქელ ქანში მჭიდროთ ჩამოყვანილმა ამ სწავლმა ადამიანმა უეჭვად ვეღვა ამას თავი და დწია, ნამდვილი ადამიანურ ცხოვრების დაბრკობების მთლიანი უეჭვად და წამიერად ისევე თავის სიმშობლოთაგან – ბუნებას დაუბრუნდა. და სწორედ ამ სისინარულეოფის სხივი, ხანგრძლივი კარდახვეწისა და ბედნიერ შინ დაბრუნების შუქი, სწორედ ეს სანეტარო ამბავი იყო ამ ადამიანის სახეზე ნათლად აღბეჭდილი.

მაშინ გამახსენდა სახარებაში მოთავსებული ამბავი გზა-დაბნეული ემწვილის შესახებ, რომელიც მშობლოთაგანის კერას მოსწუდა, სხვა-და-სხვა ქვეყნებში იხეტიადა, ამ სოფელიურ სიტუაციების წყაროს დაქრფა, ხანგრძლივად და ხარბად სვამდა გრძობობათა ამშლელო ტარს და ბოლოს ჯან-გამოლეული და დასაწვლეული უბედური სამშობლოსკენ გზას გაუდგა. მამა სინარულეოფ დაუხვდა თავის დაკარგულ შეიღობს, ანტივა ეოფილი და ნაშეული, ისევე თავის ოჯახში მიიღო და თავის კარგობაში ტკბილ მამა შეიღობად გააიბო.

სწორედ ამგვარად ბედი ეწია ჩემ თვალ-წინ



მსუქან ბურჟუას. იგიც კარგა ხანია მოსწედა თავის  
 ბუნებას, ამ სოფლის გემო ღრმად და სავსებით  
 სიმდიდრისა და განცხრომის ქანი ბლამად შე-  
 რება, ჯანით დასაწყლდა, დაბუნავდა, თავის ქანსა და  
 დარეში ისე გაითქვიფა, რომ ადამიანის სსე დაკა-  
 რდაც ადამიანის მხოლოდ თავ-წამულ უშნა და  
 რუმბად გადაიქცა. ბოლოს იმას უცდრად მოს-  
 და ეგელა ეს და გადასწევიტა თავისი სულისა და  
 ცხლის განსაკურნავად, დაკარგულ ადამიანურ უფლებების  
 დგენად ისეგ თავის მშობელთან, ისეგ ბუნების კერ-  
 ბნ დაბრუნება, და აი დაბრუნდა კიდეც. დახედეთ  
 რის ადერსით თავს ეგელა ეს მსუქანი კაცი თავის  
 რის ძმებს, ეგავილებს და მტენარეებსა და რწევს,  
 დას ასმევეს ეგელა იმით: შეხედეთ, როგორ უცინის  
 ამ ეგავილებსა და მტენარეებს, როგორ შეჭხარან  
 თავის რჯანში დაბრუნეულ, კარგა ხანს დაკარგულ

შეთხვედი უტყველად ზომიერების გადაცილებას,  
 ბენტალიზმს, ტკბილ-გრძნობიერებას დამწამებს.  
 რად ვიცი, მტკიცედ მახსოვს რასაკვირველია, რომ ამ  
 თავის ბაღანში ასე ხალისიანად მოფურსოფესე მსუ-  
 ბურჟუა მალე ისეგ თავის ძველ, სვეულ კალაპატში  
 ბა, ისე თავის მალაზიას ან კანტარას დაუბრუნ-  
 ისეგ მოსწედება მოსიყვარულე ბუნების კალთას.  
 ეგელა ეს და ამავე დრას სულ სხვა საგანი მაინტე-  
 რის, სხვა საკითხი შებადება გულში. როგორ მოხდა,  
 ცხოვრების ზიარობების მიერ თითქმის სავსებით და-  
 უტყველმა, და კაცობის უნარ-დაკარგულმა, თითქმ  
 ბამოდ გონება-დაძინებულმა ამ სპარალო ადამიანმა  
 რად მაინც გამოიღვიძა. გარდაც კარგად ეტყობოდა  
 დაგს, რომ იგი მოქალაქეთ წრეს ეკუთვნოდა, იმ წო-  
 რამედიც ძველის დროიდან ქალაქში იბადება,  
 ბზრდება, მოქალაქეთა ვიწროდ შემოფარგლული ცხოვ-  
 რულა უნე-ჩვეულებას ითვისებს, მთელი თავისი სუ-  
 და სხეულის ძალას სიმდიდრის შეძენას ანდამებს,  
 რად ამ სიმდიდრეს შესტრფის და ნეტარებით შეჭ-  
 ბს. მოდგმიდგან მოდგმაზე გადადის მოქალაქეთა  
 ეს მადა გამდიდრებისა. ძლიერი წადილი ქანების  
 ბეჭეულად, მატარობიდან ძველ-რბილში უჯდება ამ  
 დაბადებულ ბავშვებს და შემდეგ, ცხოვრებაში რომ  
 უღუნ, მათ უმთავრეს მოძრავ ძალად, მათ მტკიცე  
 მად გადაიქცევა ხალხე და თუ წამიერად მაინც სძლია  
 რად ადამიანის გულში ბუნების საეგარულმა ანგარების  
 უღუნ, სჩანს შიგ ღვთიური ნაზერწკალი სავსებით არ  
 დასა და საზოგადოდ ადამიანის სულში შთანერგული  
 ბის-შვილურ გრძნობის განაღება-განვითარება არა უ-  
 არამედ შესაძლებელი საქმე უფიქლა.

ილია ნაკაშიძე.

\* \*

მუხთალ ცხოვრების სასტიკ ბრძოლაში  
 ლონე მიხდილსა, შეწუხებულსა  
 რისთვის მარიდებ ნათელსა თვალებს,  
 რისთვისა მრისხავ შენსა ერთგულსა?

აჰა, სიკვდილი ბოლოს მომიღებს,  
 გულსა დაჰუარავს სამარე ბნელი;  
 და ამას გეტყვი უკანასკნელად,  
 რომ სასტიკი ხარ და უღმობელი!

ა. შ—ლი.

### მოდერალი

(წერილიდან)

.... შემთხვევამ თითქოს განგებ დაუპირდაპი-  
 რა შესადარებლათ სათნოების, სიმართლის და სი-  
 ყვარულის სამეფო-ტაძარი შურის ძიების, სიმკა-  
 ცრის და ამა ცხოვრების ყველა ცდუნების საუკე-  
 თესო სასწავლებელს—საპრობილეს.

მუდმივ მზის სხივებით შემკული, მალა მთა-  
 ზე მდგომი ეკლესია, საიდანაც ზეცისკენ მიაქვს  
 წმინდა კელაპტარს ცოდვილთა ვედრება და წმინ-  
 და მამათა შენდობა, ღმობიერათ დაყურებს მთელს  
 ქალაქს. აქ მოდით ყველა ტვირთ მძიმენო, თით-  
 ქოს, მეტყველობს ყოველი ქვა ეკლესიის შენობი-  
 სა; აქ სხივია მზის, აქ ჩრდილია დაბურულ ხეთა;  
 აქ სიო ჰქრის და ანკარა წყარო გულს მოგიბრუ-  
 ნებთ მაშვრალთო.

სატუსალო კი ყველასა და ყოვლისადმი სი-  
 ძულვილით აღვსებული ქვევითა სდგას, სამარესავით  
 ჩუმი, უნაყოფო და უგულო; ცის კამარა რისხვით  
 და ქუშით უბღვერს მას: ან ბღვერს ადენს გა-  
 ტიტვლებულ, უმწეო, უმცენარეო ეზოს, ან ნია-  
 ღვართ, ტალახ—თოვლ-ჰყავით სულს უხუთავს და  
 თავს აბეზრებს ადამიანს. ერთი მეორეს ყოველი  
 სატუსალოს მცხოვრები, მოხელეა თუ დამნაშავე,  
 ზიზლით და სიძულვილით შეყურებს; ბუნებისაგან  
 რითიმე შეურაცყოფილი და კანონით დასჯილი  
 სცდილობს სხვა ადამიანზე ამოიყაროს აქ ჯავრი.

ან კი რა საჭიროა ამ დიდს ათასი ცოცხალი  
 კაცისთვის მომზადებულ კუბოსთვის მოკაშკაშე,  
 ზურმუხტი, ფერადი ცა, მწვანით მობიბინე ველი  
 და ტკბილი „შუბლის გამგრილებელი სიო?“ რათ  
 მინდა სხივი მზის, თუ იგი სიყვარულის სახეზე არ  
 კრთის? რას ვაქნევ მთვარიან ღამეს, თუ ოცნებათ  
 სავსე ვერ წავალ წყლის პირათ „ფიქრთ გასარ-  
 თველათ“.



ჩემი ოთახის ზევით, მეორე სართულში, ვი-  
 ლაც აჭარელი ბეგია, კაცის მკვლელი, შეჯაჭული.  
 დაღამდება თუ არა, მიწვება იატაკზე გაშლილ ხა-  
 ლიჩაზე და ნელა დაიწყებს ღიღინს; ჯერ ხმა მისი  
 უბრალო წუხილია, უსამზღვრო და უიმედო გო-  
 დება; ხმა მალე იკარგება უმნიშვნელოთ ჰაერში;  
 მაგრამ ღიღინი უფრო და უფრო უახლოვდება სიმ-  
 ღერას; ხმას ძალა ელევა; სიტყვები ცას წვდებიან;  
 საერთო გრძობით კი ივლინდება დიდის ხნით არე.  
 მაგრამ აქ სიმღერაც აღკრძალულია. აქ უსიტყვოთ  
 უნდა იტანჯო, რაც დაგეპართება გულში უნდა  
 ჩაიმაზხო, ადამიანური თვისება - ბოდმის, დარდის  
 გამოთქმა უნდა დაივიწყო.

ეს სიმკაცრე არის, რომ დამნაშავეთ თავის  
 თავს არავინა გრძობს, სასჯელს ყველა უსამარ-  
 თლობათ სთვლის; სატუსაღოს კარებთან შორდება  
 ყველას სინდისის ქენჯნა და გამოსვლისას კი ძვი-  
 რათ თუ ვისმე ხელმეორეთ გაეღვიძება.

ოჰ, აკრაჭუნებს ტუსალი კბილებს, როცა ზე-  
 დამხედველი დაუშლის მღერას, ერთი ძაღლის მო-  
 კვლის მეტი ვერ მოვასწარ-ამიტომ კი ვარ დასას-  
 ჯელი, მაგრამ თუ გავიქეცი...

**ნ. ლორთქიფანიძე**

**ა ლ ა ზ ნ ი ს ვ ი ლ ი.**

ალაზნის ველო,  
 ჩვენო აღმზრდელო,  
 ვინ გამოსთქვამდეს შენს შეფენებასა?!...  
 ბუღბუღლის სტევნა,  
 ნიავის ფრენა,  
 აღაფრთოვანებს მაგ დიდებასა.  
 ყვავილთ შრიალი,  
 წყაროთ ჩხრიალი,  
 ოცნების ტალღებს ცამდე ამალღებს.  
 მუნ ალაზანი,  
 ტრფობის აკვანი,  
 მძიმე ღიღინით მოარწვეს ტალღებს  
 და მთვარის შუქით,  
 ნაზი სიტურფით,  
 მოვარაყებულს ზანტას ზვირთებსა,  
 ძალის კუმტობით  
 და მოკრძალებით,  
 ახებს, აკარებს განაპირებსა.  
 მწყემსი ჩონგურსა,  
 ოცნების ჭურსა,  
 დაჰმღერს სიმღერას საუცხოვოსა  
 და ტკბილ ჰანგებით,  
 წარმტაცი ხმებით,  
 საუბრობს ციურ საიდუმლოსა...


ვიშ როდენი **ეროვნული**  
**ტკბილ-მოსალხენი** **ლიქოთიქი**  
 სიტურფე ჰყვავის აქ თვალთა წინა:—  
 თვით ნეტარებას,  
 სამოთხის შევებას,  
 აქ დაუდვია თავისი ბინა.  
 მაგრამ ეჰ, ველო,  
 ალაზნის მცველო,  
 შენის შეფენებით ვინ განსძღებოდეს,  
 რომ ცხოვრებასა,  
 ცოდვების ზღვასა,  
 დაუმაღლიდეს არ ემღუროდეს?!  
 ი. ბაქელიშვილი.

**ამდროული იზავ-არაკები**

\* \*

**სიზმარი და ცხადი**

იყო და არა იყო რა.  
 იყვნენ ქართველი ესდეკები.  
 და იყო საქართველოში ისეთი ხანა, როცა  
 შესაძლო შეიქმნა ხმა მალა და „დაუსჯელოდ“  
 კანონიერ-ისტორიულ-იურიდიულ საფუძველზე და  
 მყარებული მოთხოვნილება ყველას წარედგინა  
 ჩვენი „კეთილის მყოფელის“ და „კულტურის“ შე-  
 მომტანი“ ბიუროკრატიისათვის  
 მას ჟამსა შინა აზნაურნი და გლეხნი, ერი და  
 ბერი, მდიდარი და ღარიბი, ქალი და კაცი, დიდ  
 და პატარა ყველა ერთხმად ითხოვდა თავის უფ-  
 ლებას და უმთავრესად კი ასი წლის წინად წარ-  
 თმეულ ავტონომიას...  
 ამ დროს ქართველ ესდეკებს ავტონომიურა  
 ეძინათ და სიზმარში სულ პროლეტართა დიქტ-  
 ტურა და ცენტრალიზმი ეზმანებოდათ...  
 ...და გამეფდა დიქტატურა არა დემოკრატი-  
 ული არამედ ბიუროკრატიული და განხორციელ-  
 და მათვის სანატრელი ცენტრალიზმი... ესდეკნი  
 ავტონომიურად ისევ ეძინათ, თუმცა ძილში კი  
 ხანად სულ ავტონომია ესიზმრებოდათ ..  
 დრონი იცვალნენ, სიზმარი განქრა და ჩვენ  
 ბურ ესდეკებს ხელთ შერჩათ ცენტრალიზმი  
 ცენტრალიზმი თავის დიქტატურობით და განაპირ-  
 ქვეყნების განადგურებულ ტენდეციით...  
 სიზმარი განქრა, ხოლო ცხადი სინამდვი-  
 ქვეყნად გაჰყვივს...  
 დასკვნა:  
 „ყვავს თვალი არ ჰქონდა და წამწამს ინა-  
 რიდაო!“



\* \* \*

მომთინებია შენათა მოიხვე სული შენი...

ოდესმე ცენტრალიზმით გაჟღერებული და ებ- მისგანვე დაგვიბილ-გაგუდული ქართველი ეს- თავმოშვლებილი და თავზარ დაცემული გაურ- და სანაქებო სამს პარლამენტს; მან ძლივს მიაღ- განაპირას, სამშობლოს—საქართველოს საზღ- ებს და გულს სიმშვიდე მოეფინა...

ამოისუნთქა თავისუფლად თავის მიწა-წყალზე ის იყო გამოსწია—სწორედ ამ დროს ფეხი წა- კრა საქართველოს ავტონომიას, ძირს გაიტხლა- შა, თითქოს თაყვან საცემლადაო, ცხვირი გაიქე- და ძმარი ედინა...

მოეშველნენ, ზეზე წამოაყენეს და გაქეპი- ცხვირი შეუკრეს და შეუხვიეს.

— როგორა ხარ, ჰკითხეს, ძრიელ ხომ არ ტკინე ცხვირიო?

— ბარემ ძრიელ ვიტკინე, მაგრამ ისევ ავტო- მიური ტკივილი სჯობს ცენტრალისტურ გაგუ- ასო! წაილულლულა ქართველ ესდევმა.

დასკვნა:

„თოვლი თეთრია, მაგრამ სიცივე დიდი იცი-“

სკვითია

### დ ე დ ა კ ა ც ი.

(ბაირონიდან)

ოჰ, დედაკაცო, ვინა გიხილოს რომ მყის სიტურფით არ მოიხიბლოს? გულს მოგენდობა, მოგიალერსებს და აფრქვევინებს თვალიდგან ცრემლებს.

გამოცდილებამ აწ დამარწმუნა რომ ყველაფერი ამოა არი, მაგრამ რა გნახე—წამსვე მომხიბლე და შევიყვარე სახე მცინარი...

ოჰ მოგონებავ! თუ შენ თან მოგაქვს გულის იმედი და სიყვარული, თუ არ ჩამქრალა ვნებათა ღელვა— შენ ხარ კურთხევა მომადლებული; მაგრამ ყველა ეს თუ აღარ არის— იყავ წყეული შეჩვენებული!...

დედაკაცია ტურფა მაცდური, ჭაბუნნი მალე იხიბლებიან; და ყოველ ფიცსა მისგან წარმოთქმულს

ძლიერ ადვილად ერწმუნებიან, რა რიგ თრთის გული, როცა ცუდ შეწყურეთ თვალის ისრები გულს გვესობიან და როს ყურს ვუგდებთ მის ცბიერ სიტყვებს ნეტარნი წუთნი გვეხატებიან. მაგრამ ყველა ეს წარმავალია, მეორე დღესვე ურცხვად გვღალატობს; და შენს ნორჩ გულსა, ახლად გაფურჩქენილს, მხოლოდ ჭრილობის წყლულსა დაატყობს.

მართალი არის როცა ამბობენ და ეს სიმართლედ მარად დარჩება: ფიცსა დიაცნი ქვიშაზედ სწერენ რა ქარი დაჰბერს—მსწრაფლ წაიშლება!...

ა. შ—ლი

### მგლები და ცხვრები.

(საარაკო ამბავი)

დღე თვალსა ხუჭავდა, ბინდი-ბუნდი იყო. ცელქი ნიაფი აშრიალებდა დაბურულ ტყეს. ორი მგელი ტყის ნაპირად იდგა და ერთმანეთს შეს- ჩიოდა.

— ბიჭო, უთხრა ერთმა მეორეს: რა ვქნათ, რა მოვახერხოთ, რომ ასე მშვირები ვართ? ცხვრებს პირი შეუკრავთ, აღარ გვეკარებიან...

— ოღონდაც, რომ ცუდი საქმე მოგვდის— უპასუხა მეორემ,—მაგრამ მე ერთი ხერხი მოვიგონე.

— რა ხერხი?

— მოდი შევიკრიფოდ ყველა მგლები და ცხვრებს ასეთი წერილი გაუგზავნოთ: ამხანაგო ცხვრებო! ჩვენ, მგლებმა, გავიგეთ, რომ თქვენ ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულხართ და თვალით აღარ გვეჩვენებით, თითქო ჩვენ იმდენათ ბრიყვები ვიყენეთ, რომ თქვენ გავნოთ რამე. ჩვენ ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი და გადავწყვიტეთ, თქვენს წინაშე ბოდიში მოვიხადოთ; გვაპატეთ, რაც ცო- დვა ჩაგვადენია, ამისათვის ხვალ საღამოს მხეტთა ღელეში ამობრძანდით. კრება გავმართოდ და ერ- თმანეთს საქვეყნოდ შევფიცოთ, რომ გაკვრა-გაგ- ლეჯა მოისპოს. ვიცხოვროთ ერთად, ძმურად, მე- გობრულად და ყოველთვის ჭირი და ღიბინი შუა გავიყოთ.—ცხვარი ყოველთვის ცხვრათ დარჩება, ჩემო მეგობარო და შეიძლება მოსტყუვდნენ.

— ჩინებული აზრია! დაემოწმა მეორე მგელი და დაუმატა:

— მაშ, დავუძახოთ დანარჩენ მგლებსაც! მგლებმა საზარელი ყმუილი მორთეს. ცოტა ხანს შემდეგ იქაურობა მგლებით გაივ-



სო. ხელად კრებაც გამართეს. მცირე კამათის შემდეგ ამოიჩინეს ერთი მგელი და ცხვრებთან გაზაფხენს.

ცხვრებს გული მოუღობათ და მეორე დღეს დანიშნულს ალაგას მოგროვდნენ. მგლებიც ხელად გამოძვრნენ ტყიდგან. ცხვრების ბლავილმა და მგლების ღმუილმა ტყე უსიამოვნო ჟრიაშულით და ხმაურობით აავსო — ერთმანეთს სალამს უძღვნიდნენ.

ცხვრების სიხარულს დასასრული არა ჰქონდა. ასე ეგონათ, მგლები მართლა დატკვიანებულან და ამიერიდგან ძმურათ ვიცხოვრებთო. მაგრამ უფროსმა მგელმა დანარჩენებს ნიშანი მისცა და მგლები მოულოდნელად დაერივნენ ცხვრების ფარას.

საშინელი ბრძოლა ატყდა მგლების კბილთა ღრჭენამ და ცხვრების ფეხის ფაკუნმა მიდამოს თავზარი დასცა. ტყე ველი დახოცილ და დაჭრილ ცხვრებით გაივსო. ვინც თავს უშველა უგზო უკვლოდ გარბოდა, გამარჯვებული მგლები კი ხითხითებდნენ და დამარცხებულთ ყიჟინით აცილებდნენ.

საწყალი ცხვრები! ნეტა როდის დარწმუნდებიან, რომ მგლებს მათთან საერთო არა აქვთ-რა?!

**ი. მჭედლიშვილი.**

**ა მ ო ნ ა კ ვ ნ ე ს ი**

მიუხედა გული, აღარ ძვერს, არა, სევდამ წყლულები შამოაპარა, შესწყდა სიამის სიმთა ჟღერანი ღროებით შედგა ჩაგრულთ მერანი...

ღლისა სინათლე ბნელმა დაჩაგრა, მთა ბუმბერაზი მზეს აეფარა, ნათელსა მთვარეს შავმა ღრუბელმა ბნელი სუდარა გადააფარა. გადამწვანებულ მიდამოებსა მრისხანე ქარი თავს დამტრიალებს, ნორჩი ხეების ნაზსა ფოთლებსა შეუბრალებლათ გლეჯს, ატრიალეს.

ისმის ჩაგრულთა ბორკილთ ჩხარუნი, აუტანელი ყრუ გმინვა, ტანჯვა... გაცოფებული ქარის ღრიალში თავსა ძალ არუქს ფიქრი და საზრვა.. ამ ბნელ უკუში გოლგოთის მთაზე. სიმართლე ჯვარზედ მიჯაჭულია, აღამიანთა ბრმა სიხარბისგან იგი მრავალ გზით წამებულია...

მაგრამ არ კვდება! ტანჯულის უსამართლობის თარეშს და სწამს რომ მალე მის ბატონობას გაანადგურებს, ბოლოს მოუღებს...

— ოხ, ქარო! ქარო! ბარემ აღმოსკდი, მილეწ მოლეწე, ტანჯვისა ჯვარი, გზა გაუხსენი ქვეყნად სინათლეს, მიფანტ-მოფანტე ბნელეთ საზარი! **იმერელი ქალი.**

**სცენები სცენისათვის.**

**ნათელ მირონული მისალმება**

გვეხედე და ჩემდა საუბედურთ ქე არ შემხედ ჩემი შვილის ნათელიის ცოლი... — უ! ნათელი მამა! ჩა; რაგა მოგვიძულებ ერთი აღარ გვნახე, ასე უნდა?

— რა გქნა, ნათელია ბატონო თქვა, ვუზასეხე შევიდე, ხელ-ცარიელი ვერ მოვაღ: უნდა მოგართვა ხ თავის ხბოთი, ღორი თავის გოჭებით, უვერულებ სხვა და სხვა თქვა და ამ ჟამთ ეტყევიდამ არაფერ შეგვარჩინა, გავატყავა და ძალიან ხელ ვიწროთ ვარ თქვა..

— უი, შენ გენაცვალეო — მოთხრა, რაგა გეკადრებო — ოდონდ შენ მობრძანდი და შენა ხარ ჩვენი ძროხა ღორიც, გოჭებიც, ვირიც და ძაღლიცო!..

მოვასსენე მადლობა და ქე გამოგბრუნდი გათათხელ გალანძღული ასე დამემართა მე უბედურს.

**ვასო ბალანჩივაძე**

**აულაზულის მოთხვა.**

იჯდა ბუღბუღი ვარღხედა მტირალი, თვალ ცრემლიანი; ბედს იწყევლიდა, მოსთქვამდა მწუხარე და სევდიანი:

— არ განახარა სოფელმა, ტანჯვა მარგუნა წილადო და მომიშხამა სიცოცხლე, შუბი მკრა ვასაგმირადო.

გული ნაღველით ამივსო, შხამი, სამსალა მასვლო; სატრფოც დამიქნო, მომიკლა გადამიკარვა ხრამსლო.

ვერ ვნახე წამი სიამის და ვერცა გავიხარეო; შემძაგდა ღუბჭირ ცხოვრება, ათასი სივაგლახეო.



ხან მალა ზესკენელს ვესტუმრე,  
 ხან ქვესკენელს შევეფარეო;  
 არ იქნა, უსამართლობას  
 ვერსად ვერ დავემალეო.—

მუდამ-დღე ტანჯვა-წვალება  
 კაჟად გარდაქმნის გულსაო,  
 ერთხელაც არის იკვესებს  
 და გადმოანთხევს წყულულსაო,  
 ნუ შეგაშინებს ცხოვრება,  
 შენც გაქვავ-გასალკლდედლიო  
 მეტს რაღას გიზამს, ბედკრულსა,  
 ოხერ-ტიალი ბედიო?!—

გ. ლადოშვილი

ანდაზების განმარტება

არ გათვორდება ყორანი რაც გინდა ხეხო ქვი-  
 თი — რაც უნდა უმტკიცდნ „ამხანაგში“ ჯაღო დარჩიაში  
 და „ავტონომისტებმა“ ნაჟ უორდანიას და „ცენტრალი-  
 სტების“ სამართლიანი აუცილებლობა ავტონომიისა საქარ-  
 თვლისათვის უოჟლად ამაოა, რადგან ვერაფერს ვერ ჩა-  
 ნებენ მათს კაკირულ — გაქვავებულში.

ამანათს მეგლიც. შეინახავსო მაგრამ ტრამუაის  
 ღმა დირექტორმა ალიბეგოვმა ვერ შეინახა ზირობა  
 სამსახურეთან შეკრული ძველ დირექტორ ფრიდმანთან.  
 ამხანაგი თუ გძულს, სარგებლობა ნუ გშურსო  
 ხოლო ანტონ ფურცელაძემ ილია ჭავჭავაძის სახელის  
 შურით მისი სახელის სასარგებლო და საშულისშვილო  
 ანდიც კი შეიძულა.

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულოსა გულსაო  
 და ლეგანს უიფიანს კი ზირად ცხენებულ მიაჩნია უოჟელი-  
 ქართველურის დაწიხლვა ხანტურჩანცების სასიამოვ-  
 ლად.

ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი დაი-  
 რსო — ნაკონიკოლადის ისტაიას „საფუთო გადასხადში“  
 ღლო ჩხეიძეს „განჯქა“ თუ გამოამკარავებს და გამო-  
 კვებს.

ავი ძალი არც თვითონა სკამს და არც სხვას  
 ბქმევსო — მაგრამ ტრამუაის დირექტორი ალიბეგოვი  
 თველ მისამსახურეთ უჯუკმა ბუროდ სტოგებს, ხოლო  
 მისიანებს აძლავს და ასუქებს.

აქლემები წაიკიდნენ კოზაკი კი გაქყლიტესო  
 აქორედ ასე დაემართა ნ. ნიკოლაძეს და მ: ჭდანოვი-  
 ჩხუბს ბეტრეს ქალაქში: მარკანციის კრიზისი დღი-  
 დღე უფრო დრმაზდება და მთელი მხარე უკიდურე-  
 ლად დარბდება.

აქლემსა ჰკითხეს კისერი მრუდე რადა გაქვსო  
 სხვა რა მაქვს სწორიო ზედ გამოჭრილია ქარ-  
 ელ ესდგებზე: კრწანულ კითხვაში რად სტყუითო,

კითხებიან და სხვა რომელ კითხვაში ვერაფერს ვერაფერს,  
 გიანსუხებენ.

ახალ კიტრს და ახალს ამბავს ძვირად ნუ  
 იყიდი, მალე გაიფტდებაო — გაიძახიან ლაზისტანის ქარ-  
 თველები ოსმალეთის კონსტიტუციის შესახებ.

აზამბურელი თათარი გოქის თავს მედავებო-  
 დაო — ასე ემართება ქათული ეკკლესიის ავტოკეფალიას...  
 ავი არ მაკადრიან, კარგი არ მაღირსიანო —  
 სამართლიანად გაიძახიან საქართველოს დემუტატები კარ-  
 ლო ჩხეიძე და ეგკანი გეგეჭკორი.

ავ მოვალემ, რაც მოგცეს გამოართვიო — დი-  
 ახაც მეტი გზა არ არის სახსნურად ბანკში მისამსხუ-  
 რეთა შესახებ ილია ჭავჭავაძის ფონდისათვის წველილის  
 გამოსაღებად.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო  
 — გულ ამოსკვნით ამოიხრა „ემ. მათრახმა“ და მოუხ-  
 შირა „პოვეტურ“ შაირებს და ლანძღვა-გინებას.

ავი შვილი დედ მამის მაგინებელიაო — უოჟელ  
 დღე უმეორებენ მშობლები თავიანთ გასაღასხებულ და  
 სწავლაში ჩამორჩენილ შვილებს.

ასლის ბურო ჯერ არ მიჭამიხარ და ახლავე  
 მუცელს მეგრემო — ცხვირ ჩამოშებუდად გაიძახდნენ  
 ქართველები მოღანდებულ კონსტიტუციის შესახებ.

აღამიანის პირის კანი ხახვის გარსზე უფრო  
 თხელია, თუ ერთხელვე გაიხა, კამბეჩის ტყავზე  
 უფრო გასქელდებაო — ასე დაქმართათ „ნაპრახანკანდი-  
 სტალ“ ესდგებზე: ეხლა არაფერს არ თაკილბენ ქურდ-  
 ბანცობიდან მოყოლებული ძარცვა გლეჯამდე და კაცის  
 კვლამდე.


ალიას დარდი ფლავიაო — *Голосъ Кавказъ* ის  
 ჭმუნვა და ფიქრი ქართველების „გაციმიბრება“, ესე იგი,  
 ქართველობის ცხრა მთის იქით განდევნა და რუსების  
 საქართველოში დაბინავება.

აქლემი ისე არ დავარდება ვირის საპანე კი-  
 დევ არ აიკიდლოსო — სრული ჭეშმარიტებაა ქართველო-  
 ბაზე, რადგან ჯერ ისე არ დაბეჩავებულა, რომ თავის ის-  
 ტორიულ მისნიის შესრულება ვერ შესძლავს კავკასიულ  
 ერთა შორის, რომლის ბელადი და წინამძღოლი მუდამ  
 უოფილა კულტურულ და პოლიტიკურ წინმსვლელობაში.

აქლემმა სთქვა. რომ არ დამაჩოქებდნენ ქვე-  
 ყანას ავიკიდებდო — ზედ გამოჭრილია ქართველ კლეხ-  
 გაცობაზე; მას რომ შინაური და გარეული ყვავ-ფორნები  
 არა სწიწნიდნენ მისი ბუნებრივი ტკუა და მადლიანი მა-  
 რჯვენა ქვეყანას გააოცებდა სიტუით და საქმით.

მონადირე.





დავით, მიქელ ანჯელოს ქანდაკება



მოსე წინასწარმეტყველი, მიქ. ანჯელოს ქანდაკება

**ნ ა დ ს ო ნ ი დ ა ნ .**

იმ ნეტარ წუთსა, როს მკრთილი ღამე  
თვის დიად ტახტსა უახლოვდება  
და ვარსკვლავთ ბადეს მთის მწვერვალსა ფენს,—  
გული მხოლოდ შენ გეაღერება!...

სულით მწუხარე შენს სიტყვათ ვუსმენ  
და მით მასწაველი წმინდა სიყვარულს;  
მყუდრო სამოთხის უცხო ჰანგები  
მსურს შთაფუქსოვო სიტყვას აგზნებულს!

მაგრამ მწირის ხმა ზეაღმაფრენის  
სუსტი და მკრთალი არის სიმღერა;  
მწარედ ვქვითინებ და ხმას ტანჯვისას  
ერთვის ჩანგისა სიმების ღღერა!...

ა. შ—ლი.

**დ რ ო ა .**

თავისუფლება, ძმობა, ერთობა  
ქვეყნად ღვთისაგან გაჩენილია,  
მაგრამ ღალატი, შური და მტრობა  
ჩვენ შორის მუდამ მოფენილია!...

სითბო, სინათლე, ბედნიერება  
ზოგს ცოტა ერგო, ზოგს ნამეტანი!  
ამისთვის კაცი კაცს ემტერება  
და აღარც არის იმის გამტანი!...

მდიდარს არ ესმის ღარიბის კვნესა,  
მშვიერს ვერ უგრძობს კაცი მამდარი!  
ამით კნინდება მთელი ქვეყანა  
და ამით არის გული დამწვარი!

ღროა განახლდეს ქვეყნიერება!  
ხელსა უწყობდეთ ერთმანერთს მარად  
სითბო, სინათლე, ბედნიერება  
ჩვენ ყველას გვერგოს ძმურ—თანაბარად!  
კონ. ნიკოლაძე.



ეროვნული  
ნიჭალი



მიქელ ანჯელო



ან. ჩხოვი

ანტონ ჩხოვი

ერთი უდიდესი და უძლიერესი გენიოსია ხელოვნებაში  
 ანჯელო საუკუნის, ეგრედ წოდებულ „განახლების ხანაში“.  
 ანჯელო ბუნარტი დაიბადა 1475 წ. 6 მარტს გარ-  
 ცვალა 89 წლისა 1564 წ. 8 თებერვალს ფლორენციაში.  
 თანა დიდებული მოქანდაკე, მხატვარი და ხუროთ მოძ-  
 რი იშვიათია მსოფლიო ხელოვნებაში. ყოველივე ამ ხე-  
 ნების დარგში მიქელ ანჯელომ შექმნა შესანიშნავი:  
 დაკებაში მოსე წინაწარმეტყველი“. მხატვრობაში—„გან-  
 ხლების დღე“ და ხუროთ მოძღვრებაში—„წმ. პეტრეს  
 ბორის გუმბათი“ ზედმეტი შესანიშნავი მგოსანიც იყო.  
 მიქელ ანჯელო იმ გენიოსთაგანია, რომელთა სახელი  
 ბრძოლის დაუშრეტელი კანდელივით უნათებს ცხოვრე-  
 და იდეალის გზას.


წელს 2 ივლისს ოთხი წელიწადი შესრულდა, რაც  
 ბადენვეილერში გარდაიცვალა რუსეთის ერთი საუკეთესო მწე-  
 რალი ანტონ პავლეს ძე ჩხოვი. მოძრაობის ხანამ სრულე-  
 ბით დაავიწყა რუსებს თავისი მოვალეობა დაუვიწყარი მწე-  
 რალისადმი, მაგრამ იქ, საზღვარს გარედ უცხოელებმა, მწე-  
 რლის გულწრფელ პატივისმცემლებმა უკვე ძეგლიც აუგეს და  
 დიდის ამბით აკურთხეს კიდევ ამ ორი კვირის წინედ. ეს  
 ამბავი აშკარად მეტყველებს თუ რა დიდი მანძილია „კულ-  
 ტურულ“ რუსეთსა და „გახრწნილ“ ევროპის შორის..

ნ ი შ ა ვ ! ..

ნეტავ მოვესწრო იმ ჟამსა, ოდეს ჩაგრული ვრია  
 ბრძოლას არა სძიძენიდეს, არ იყოს ძმა ძმის მტერია.  
 ან მოვესწრო პარტიებს, გზას დასდგომოდნენ სწორესა  
 ბიზიკედლობდნენ უგუნურად, არ ლანძღვიდენ ერთმორესა.  
 ან გავიგონებდნენ იგავსა—თევზ-კიბო-გედის წვალებას,  
 ან კამათის მაგიერ შეუდგნენ ხალხის სწავლებას.  
 ან ისე განსაჯონ, როგორც რიგი და წესია  
 ბორბოტება არ მკიდეს რაც კეთილს დაუთესია.  
 ან შევესწრო იმ დროსა, აზნაურ-თავადებია  
 ბობდნენ, რომ გლეხი მათვისა ჭირში თუ ლხინში ძმებია,  
 ან მაც ის იგრძნოს მათდამი შური და მტრობა წოდების,  
 ან სწორობა, მერწმუნეთ, უსისხლოდ მალე მოხდების...  
 ან მოვესწრო იმ დროსა, როს ჩვენი ძალათ მაცხონე  
 ან კალთავენს სოროში, გამოლეული ძალ-ღონე.  
 ან ვინატრებ სანატრელს, კიდევ ვინატრებ ერთ რამეს  
 ან განთიადი, რიე-რაეი მალე შეყროდეს ბნელ ღამეს.  
 გერი.



ქართველი ქალის ტიპები.



ახმება და დაქმვა.

გათენდა. უმაღ ისევე დაღამდა.

— დაღამდა?... — შეეკითხა კუთხიანი სახლი.

— მე ვერასა ვხედავ; თვალები ცეცხლმა გამომწო...

— ვერა ვგრძნობ, ჩემო მეზობელო! — მიუგო იქვე სახლის ნანგრევმა. — კედლების გვერდები და ზურგილა შემრჩა, ესეც დასუსხული...

— „ტაძარს“ „ტაძარს“ შეეკითხეთ...

შიშხინით ურჩია „სახალხო დარბაზმა“ და დაწვის სიმწარისაგან ისე დაიგრიხა, რომ წინა ზე- ვითა კედელმა, ველარ შეიკავა თავი, გადმოიხნიქა. ამ გადმოხნიქას მოჰყვა ტკივილის ხმა: „უჰჰ... ბრრრჰტტტრრრ...“ და დაეცა შიგ შუაგულში.

— ბრრრჰტტტრრრ... განიფანტა ეს ხმა ჰაერ- ში და დაბა ყვირილის მიდამოც ჩვეულებრივი ბა- ნი მისცა.

ამ დროს უვნებელი „ტაძარი“ ცოტა არ იყ- ვეს შეკრთა; ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დამწვინდა, და რა შეამჩნია მეზობლათ „სახლის დარბაზის“ შესავალ გვერდის დანგრევა, და მიმართა დანგრე- ულ თავისს... სახლებსა.

— თქვენი წვა-დაგვისა გამო, რაღა გული ან გრძნობა შემრჩა? ეხლაც კედლები თქვენის ცეც- ხლის ალისაგანა ისეა გახურებული, რომ სული ვერ მომითქვია...

— ხოლო, გული მაინც შეგრჩა... — წაიჩუჩუნა „სახალხო დარბაზი“-ს ნანგრევმა კვნესით.

— თვალები მაინც არ ამოგწვია... — წაიღუ- დუნა შურიტა უხილავ კუთხიანმა სახლმა.

— როგორ?!... — წამოექომაგა კოშკი.

კოშკი, უფრო ნაშთი კოშკისა, მაინც ამაყად გადმოიყურებოდა მოშორებით მალლობიდგან, რო- მელსაც მოესმა ნიავის საშუალებით შურიანი საყ- ვედური „ტაძრის“ მიმართ, ველარ მოითმინა, და მიმართა გაბედვით:

— თქვენ უბედავთ მაგას?! — განაგრძო ამაყათ — ჯერ გამოიარეთ ის რაც ჩვენ გამოგვივლია და შემდეგ უსაყვედურეთ.

— ეს ისტორიული ნაშთი სადღა ერევა? — წამოიძახა დაცინვით ერთმა სახლმა, რომელიც, განმარტოვებული, ცეცხლს ასცდენოდა...

— დიახ, დიახ! მე ვარ ისტორიული ნაშთი. დღესაც, არა ერთი და ორი აფარებს თავს ჩემს ნანგრევებში — განაგრძო ამაყათ წარსულიდანა — ძველად ბევრჯელ მოსულან მტარვალნი, ბოროტი ადამიანი, ხოლო ჩემს ამშენებლებს აქ შეუფარე- ბიათ თავი. მე ისინი დამიფარავს, როგორც ჩემი

ამშენებელ პატრონი, ხოლო ფაქტობრივად ჩემი პატრო- ნობა მტარვალთაგან...

— მართალია, მართალია! — დაემოწმა კოშკი შესავალში მუხის ჩარჩო — გარს ბევრჯელ მოგ- ხვევია მტერი...

— როგორც მე მუშლი — განაგრძო მოხუც- მუხამა იქვე ტყიდანა — თუმცა ტოტები შემოცლ- ლი მაქვს, მაგრამ ფესვები მაინც ღრმად დედამიწ- ში გამჯდარი მაქვს.

— გესმით?! — მოაგონა კოშკმა თამამათ. — თქ- ვნი ამშენებლები-კი გაგირბოდნენ. როგორც თქვე- სუსტნი, ისევე თქვენი ამშენებლნი დამფრთხლ- და კუდ ამოძეებულნი გაურბოდნენ მტრის მო- ლოვებასა. ძველად ჩვენს „ტაძარზედ“ იყო წარწე- რა: „თავისუფლება გამარჯვებული, ანუ სახელ- ვანი სიკვდილი“. ეს წარწერა ეხლაც ამჩნევია, რ- საც თქვენ ისტორიულს ნაშთს ეძახით...

— ეჭხ!... კარგიათ შეიღებო! — აქ სწორ- დროზედ შეაჩერა დედამიწამა. — დაღამდა, დაღა- და!... ეხლა ღამე უფრო საშიშია მგელ-კაცისაგან...

— მგელ-კაცი... ფრთხილად დაძრწიან...


გახმაურდა ყვირილის მიდამოში და მიმოფე- ტა ჰაერმა გაფრთხილებით ბუნების ხმაურობითა და გაფრთხილებით! მერე რიდასთვის? ხომ აღ- რულდა ადამიანისაგან?

კეთილმა ააშენა, ხოლო ბოროტმა დააქცია...  
ს. გლახაშვილი.

მ ი შ ა ლ უ ლ ი ა .

ვეკლეგან სიფრუე, სიბორტე, სიღარბუა, უსამართლობის, რბუის და გლეჯის მკვიდრი ბუდე- ამაკება უსაფუძვლოდ უქმი ცხოვრება, იუდას ამბოკი, ძმის დალატი მრუში ცხოვრება: დამკვიდრებულა წეს კანონათ ვეკლეგან კოვკლთვის, ფულისთვის ბრძოლას საღხი უფრო მედგნათ მიეღებო- კავი მზათ არის ფუფით, რქროთ ღამის შეებრძოლ- მას კი არ ფიქრობს, ვის სიბრთუეკს მედგნათ ებრძოლ- ვეკლათავს იქებს, და თან აქებს თავის სიბრძნესა- ეს მძლავრი სენი, გადამდეკი შეჭერია ურსა. და ამაგ სენით დღეს ჭკერიც გაუდენთილას დრაც, სისხლიც, ძარღვიც, სუნთქვაც, აზრიც მოწამლუ-

გიორგი უჩინარიძე



ოთხი წლის სამსახური.

(გაგრძელება)

სანამ ქსენონში ვმსახურობდი, ხშირად მქონდა საქმეების ექვთთან, რომელიც ნამდვილი წარმომადგენელი ვერცხლ-მოყვარე ექიმის ტიპისა. თვალ-ტანად ურიტყავდა, ემხნეოდა სემიტური შთამომავლობა. მიხვრატყვარა, ღანძრავი, მოქმედება, უგელაფური ჩქარი ქქონდა, რომ იმიტომ კი არა, რომ ენერჯია ეჭარბებოდა, არა-სწორების აშლის გამო.

ნამდვილი „ჩინოვნიკი“ იყო. უფროს ექიმს აქებდებოდა, თუმცა, ვინ იცის, რას ფიქრობდა გულში. გასიბიებლებთან ძლიერ კარგი დამოკიდებულება ქონდა, რის უფროსთან კიდევ უკეთესი. ერთი სიტყვით, ნია-ქონდა დამზადებული დაწინაურებისათვის: იმგვარი იყო, რომელიც კარგად მოივლიდა უგელა ჩინოვნიკებთან, რად ფასობდა უფროსის თვალში. ფულზე გაგოებუ-იყო. რა დღესაც მცირე შემოსავალი ქონდა, იმ დღეს იყო. სოფელში ოც, ხუთმეტ მანეთ ნაკლებ ფებს არ დგამდა და შეუძლებელი იყო, გზაზე გაესინჯა კიდევ ავად-მყოფი. ჭირისუფალს ეტყოდა: „ეს ოცი მანეთ-მართლ ერთი ავადმყოფის გასინჯვაში მერგება. და, შენც გინდა დოქტორი, უკან რომ დაგბრუნდები, მას წამოვად და შენთან ოც მანეთადგეო“. თუ სხვა ექი-ეცხილებოდა „ზრქტიკაში“, არაფერ დონის-ძიების მოკრიბებოდა, რომ დაემცირებია ამხანაგი. აი ერთი იყო, რომელიც ნათლად გვიხატავს მის ხასიათს. ჩემი მის-მეტრანი გახდა ავად ფილტვების ანთებით. ახი-ელი კაცი იყო, დოქტორი არ მინდაო, იძახოდა; მომ-ავსო. მხოლოდ ექვსი დღის შემდეგ მიმიწვიეს, რა-ც სულთ ებრძოდა. გულის დამბლა დამართხოდა, მაჯა-ის ბუფტავდა, სიფრცხლე ქრებოდა, გამობრუნება შე-უძლებელი-და იყო. ხელი ავიღე ექიმობაზე: ვიცოდი, რომ გამოვიდოდა-რა. ჭირისუფლებმა მიიწვიეს „დიდი დოქ-ტორი“, „25 მანეთიანი“, ხსენებული ჩემი „კოლლეგა“. მოხდა ღამის ცხრა საათი. მომაკვდავის სასთუმალთან მარ და დრო გამოშვებით ვასმევ გულის გამოსაბრუ-ლ და გამადონიერებელ წამლებს. ვიცოდი კი, რომ მყოფი რამდენსამე საათს შემდეგ ადარ იქნებოდა. გრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს. ამ დროს მობ-და „დიდი დოქტორი“ და ას-მანეთიანი ქურქითურთ მოხდა ოთახში. მიეშველენ, ჩამოართვენ ქურქი. ექიმს უფლი სახის შეტყველება ქონდა; მე სედაც არ შე-ედა, ხელიც კი არ ჩამოართვა, მივარდა ავად-მყოფ-ლ მაჯას დაუწყო შინჯვა. მერე მადიონს ცალი თვა-ტადმოხედა და მედიდურად, ნახევარი ფურჩულით მის: „თქვენ ექიმობდით, კოლლეგა?“. — „არა“, — იყო მასუხი. ცივი წყალი გადაესხა, ლახურად მოხვდა გულის

ჩემი მასუხი: ცილის წამების ტრახახის საბუთი გამოეცა-ლას ხელიდან, ვეღარ იტყოდა, რომ მე მთავარი ვიყავი-მყოფი. მაგრამ უცბად გამოერკვა, ვითმ. გამოხატულად, დაიტრახახა, უთუოდ მოვარჩინო. გადაკრული სიტყვით ანიშნა ჭირისუფლებს, მე რომ მოგეწვიეთ, უთუოდ მო-ვარჩინდით და სხვ. გაწყვალა მომაკვდავი, წამოაჯინა, უკა-კუნა კვერი, დახვლიტა შხრიდით. მე მერე ოთახში გა-ვედი. „დიდი დოქტორიც“ დრო გამოშვებით აქ შემობ-ძანდებოდა ხელში, რომ ჭირისუფლები ენუგეშებია და მე რათიმე დავემცირებო. ცოტა-ხანს უკან ავდექი და გა-მოვეთხოვე ჭირისუფლებს. კოლლეგა კი მარცხს და მეუბნება: „ასე, კოლლეგა, ხვალდინ ეს და ეს წამლები ასე“ და სხვ., სხვა დროს შესაფერ მასუხის გავცემიდი, მაგრამ, რადესაც კაცი სულთ ებრძოდა, არ იყო ჩხუბის დრო. ზრდილობიანად ვუზასხუე, ხვალამდის ვერც კი იცოცხლებს ავად-მყოფითქ და გავშორდი ტრახახ ექიმს. მართლდაც, ორ საათს შემდეგ ავად-მყოფმა განუტყვა სული და ტრახახს ექიმიც იმ წამსე განძარა.

საინტერესოა მისი ბედი. რამდენსამე წელს შემდეგ გავიგე, რომ იგი დაწინაურებულიყო, მაგრამ კინაღამ „ფულში დამხრჩვლიყო“, თუმცა კი იმდენი მოეხერხებია, რომ ფონს გასულიყო: მისებური კაცები თავს არ წააკე-ბენ.

უფროსი ექიმი დამემდურა და, რომ მოვეშორებოთ თა-ვიდან, ისეთ ადგილს გადამაგდო, სადაც დიდ-ხანს ვერ გახერდებოდი. ისეთი საშემარი ცხები იყო მიუდგომელ და მიუწდომელ მთიან და კლდიან ადგილებში, რომ უო-ველი მოგზაურობა სახიფათო იყო, სულ შიშში ვიყავი და ველოდი, აი აკერ გადავიხეხები კლდეზეო. ერთი სიტ-ვით, თუ სადმე წახვიდოდი, ცოლ-შვილს უნდა გამოთ-ხოვებოდი.

თუმცა, მართალი მოგასსენოთ, ცხებს ისე არ შე-ვეწუხებოვარ, როგორც შემაწუხეს ჩემმა მონა-მოსამსახუ-რებმა. დაბაში მისვლისათხანვე შევხვდი ჩემ ძველ ნაცნობ ექიმს, სოფლის ქსენონის მმართველს, რომელსაც უნდა ჩაებარებია ჩემთვის მარცხის ექიმის ქალაქები. რომ და-მინახა, გაეხარდა, შირმა გაუცინა. მობეზრებოდა ვიადი, თრევა მთებში, ქსენონში ერთ ალაგას, ფეხ-მოუცვლელად მუშაობას ნატრობდა. ვისადილოთ; გავინსენეთ ძველი ამ-ბები, გავმხიარულდით. უეცრად წარბები შეიკრა, მოიჭ-მუნხა და მითხრა, ახლავე მარცხის უფროსის თანამემწეს-თან წავიდეთ; იქ ჯერ მარცხის უფროსი არ მოსულა, თანამემწე კი ქართველი კაცია, რა დროსაც უნდა მიხვი-დე, მიგიდებსო; ბარემ საქმეები ჩაიხარე და ჯამაგირი აიდეო. მე ვერ გაგებდე ვწვიოდე უდროო დროს, გუუნე-ბი ამხანაგს, ახლა ის ალბად იხსენებს და უზრდელად ჩამოვლის, რომ შევარწმუნოთქო. მაგრამ ამხანაგმა ქუდი დაიხურა და ხმა მადლა შემომძახა: „ჩქარა, ჩქარა, ახლა-

ვე წამოდი“. მე არ ვჩქარებულვარ. ამხანაგი ქუჩაზე გავიდა და შორიდან იძახის: „ბიჭოს, ეს რა ამბავია, რატომ არ მოდიხარ? ვა! წავიდეთ, წავიდეთ!“ ვატყობ რამ საშინელად სჯავრდოს და გულსაკლავია: რამ მისი ნება არ ვასრულებ. ვითქვამს, რად მოვიმდურთ ასე უბრალო საქმეზეთქო და წავუვლი. ასეთი იყო ჩვენი პირველი შეხვედრა.

ჩავიბარე თუ არა თანამდებობა, ჩემ კოლეგას შევეხვე: მეტი ხატოვი, ორი კვირე მსჩუქე, ახსრულე ჩემი თანამდებობა, რადგან ჩემი მეუღლე მიფრუებულ სოფელში ამ ცოტა ხანში ლოცინად უნდა დაწვეს, აქ კი არც ექიმი, არც ბებიათქო. ამ სიტუაციაში ძლიერ გაარისხა ჩემი „ამხანაგი“; მთლად გადირია; იყვირა: „რა ჩემი საქმეა შენი ცოლის ავადმყოფობისთვის ზრუნვა! მე დედა-ჩემი მომიკვდა ისე, რომ ვერ ვნახე სამსახურის გამო. ვის გუგონია, რომ ამხანაგმა ამხანაგისთვის ამავი გასწიოს! მე ჩემი საქმე მაქვს. ჩემ ქსენონ გარეშე სოფლები აქამდისაც ვერ გავიციანი, ავად-მყოფები შევარკება, „მიკრასკობია“ უნდა შევისწავლო...“ მძვინვარე წილადობიდას. რადგან ამხანაგმა ცივი უარი მითხრა, მივმართე ისევ უფროს ექიმს. ეს კიდევ უფრო გაცინებდა და განხლებულივით მომძახის: „თქვენთვის ოჯახია პირველი საქმე, ჩვენთვის კი სამსახური; ბიძა მიკვდებოდა და ჩემმა უფროსმა მცირე ხანსაც არ დამითხრავაო. გაიკეთ, ჩვენ არ დავსდევთ თქვენს პირად ბენიერებას, ერთად ერთი ჩვენი ფიქრი და ზრუნვა არის „სამსახური“, „სამსახური“ და „სამსახური“, როგორც იქნა, როცა იქნა, ვიმოვე „ოტბუსკი“, მაგრამ გვიან-და იყო. ცოლი უკვე მორჩენილიყო უბებოდა, უღატოროდა, ავად გამხდარიყო და, ცოტა რომ კიდევ დამგვიანებოდა, აღარ მორჩებოდა.

ავადმყოფური თავმოყვარეობა ქონდა მამრის ექიმს. ხან რომ ზრდილობიანი იყო, ხან მცირე რამე თუ ეწეინებოდა შენგან, უზრდელად მოგექცეოდა. ერთხელ გესტუმრე. მთელი დღე და ღამე შეჩხუბება სულ უბრალო რამეებზე. სხვათა შორის გულმოსული იყო, რომ გაზეთები ბეჭდავდნენ ჩემ „ფუქსავატ“ წერილებს. არ ვიცი, რა აჯავრებდა, შური თუ გულ-წრფელობა. მეორე დღეს დილას ადრე მისი ბიჭი დამჭირდა და დუქანში გავგზავნე. ეს რომ გაიგო, ერთი ამბავი დამაწვია: რა ნება გქონდა, რომ ჩემ დაუკითხავად ჩემი ბიჭი გავგზავნეო. საზოგადოდ ჩემთან ღაზარაკი და საქმის დატყუარება რეობდა.

გაზვიადებული წარმოდგენა ქონდა თავის თავზე. „მეო, ამბობდა, შენსავით ზერულ წერილებს არ გამოგაქვეყნებ გაზეთებშიო. თუ რასმეს მოგვიდე ხელი, საბუთიანად უნდა შევისწავლო. მაგრამ, რაკი საბუთიანად შესწავლა აქ შეუძლებელია მასალის უქონლობის გამო, ამიტომ არაფერს ვწერო. ზედ მიწვევით იცოდა უფლები-

ვე წვრილმანი ფაქტი რუსეთ-აზიის ომის რამდენიმე წინადას და გაზეთს კითხულობდა განკუთვნილ რედაქციულ აუ courant აზიის ამბების შესწავლის მიზნით, ჩემი ფიქრით, მისი უბედურება ის კი არ იყო, რამდენად არ ქონდა, არამედ ის, რომ ნიჭი აკლდა, ფაქტებს თავს ვერ ართმევდა, სისტემა არ ქონდა. რომ იწუებდა ღაზარაკს, გაგვირგებდა წვრილმანი ფაქტებით, მაგრამ არ შეეძლო გამოცნობა, რა შედეგი გამოვლინდა ამ ამბებს. ისე აიხსნადა ხოლმე, რომ არ იცოდა, რას თანაუგრძობდა. მისი იდეალის გამორკვევა ხდებოდა შეუძლებელი იყო. როცა „მოდრაობა“ დაიწყო, სახელად რჩა; ვითომ თანაუგრძობდა „ერთობას“, მაგრამ უფრო ხშირად კი გამოვლინდა სახელი „მოდრაობას“.

როდესაც ავადმყოფებს ერთად ვსინჯავდით, უბრალოდ ირჯებოდა, ცდილობდა დაეშინებოდა ჭირისუფლების თვალში, თუმცა კი მიზანს ვერ მიახლოვდა ხოლმე.

ვერცხლი იმასაც ძალიან უფერდა; თუმცა კი შედეგებით უკვლავით სჯობდა წინადად წერილებს. ასეთი იყო საუკეთესო ჩინოფნიკი.

(გაგრძელება იქნება)

**ბანთიადის წიგნი.**

სინათლე კარზე მოგვადგა, მიიპარება სიბნელე; მას თან გაყვება მჩაგრელი და თანაც მისი სიბნელე. თავისუფლების ძმებნელი ათასობითა მატულობს, ელის ყოველდღე მაცხოვარს და მომავალზე ნატრულობს, უყმაყოფილო წარსულით, გულ-გატეხილი აწმყობზე. აღარ დასცხრება არას გზით, ხმას ამოიღებს სხვა დროზე მაშინ უყურეთ ქვეყანას! რა რიგად დატრიალდება: ბუკსა, ნაღარას დაუკრავს; მიწიდან კვდარიც აღსდგება, რომ ჩაერიოს ფერხულში, ილხინოს მანაც სხვებთანა. თავისუფლებით დამტკბარი, ლაღობდეს მულამ ძმებთანა. თუ მე არ ვიყო ცოცხალი, ბედნიერება ვერ ვნახო; ყველას გვედრი საფლავში „თავისუფლება“ ჩამძახო, სხვას თუ ვერ შევძლებ რამესა, გადავბრუნდები ერთს მან „თავისუფლება“ ვიყვირებ, გულს მოვიოხებ მით მინისკ.

კორტონა.

**ნაღვლიანი ღიღინი გლეხისა**

სოფლის მუშა ვარ საწყალი, საზრდოთ მაქ ცივი მქალპური და ღვინოც რომ მქონდეს სულით და გულით მწაღვინა სთქვა სოფლის მუშაზე, ბურჟუა მდიდარიო, არ იბრძვის ერთობისათვის, ზარბაზი, მძინარიო?

რას იცნობს გლეხის ცხოვრებას დემოკრატ ცილინდრით ბურჟუად როგორ მოგვანათლავს დაკვირვებული კვიანო. დაედივარ მშიერ—მწყურვალი, მე ვზრომობ, სხვები ძღვენი ესდევებს ასე ჰგონიათ—გლეხაკანი ვერ მიხვდებიან.

ამხანიკებსა გვეძახდნენ, ვაჭმევდით მოხრაკულებსა, პურმარილს აღარ დაგვეჯერდნენ, ხშირათ გვცინცილდნენ თოფ-იარაღი წავგართვეს, მოგვშალეს მოგვალუნესა, ჩვენი თოფი და წამალი ისევ ჩვენ მოგვიბრუნესა!..

რაჭველი შურდული.

„ ზ ა რ ტ ი ა — ზ უ რ ტ ი ა “.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა რ ო ნ ე შ უ ლ ი  
ბ ი ზ უ ლ ი ო რ თ ე ჯ ა

—:—

ზოთი დარიგება და ძმური რჩევა ფოთს.

როდი მინდა, გაწყენინო  
ჩემო ფოთო!

ჩემის ლექსით გაგაჯავრო,  
აგაშფოთო.

ახლა კი ხარ უკეთესი  
სანახავი,—

რაც მოძებნე მარჯვე კაცი,  
კარგი თავი.

გინდა ფანდით შეიძინო  
კაპეიკი,

შენს მეზობელს ზედ ახმება  
კულის რიკი.

ეს კი არის— მე რო ვნახე  
შენი ბუხტი.

გაგიტყდები, მეზობელო,  
რო შევწუხდი.

და ასე ვთქვი, ჩემო ფოთო,  
დიდრონ გეგებს

შენი ბუხტი კიდე დიდ ხანს  
ვერ იგემებს.

მერე კიდე მუშებს უნდა  
სამუშაგო,

თვარა საქმის მიკერძებით  
ჩაფუშაგო!

ერთს რო მიცე მანათები  
და სხვას გროში,

ვერაფერს ვერ გამოაწყობ  
ვერა დროში.

რა შვაშია აქ პარტია  
მორიდება?

მუშებს შორის ჩამოაგდე  
მორიგება!

და თუ ვისმეს შენი ქცევა  
გააკუტებს,

ის სიმართლეს სათავეშიც  
გააფუტებს.

ამას გარდა,— ალაგ-ალაგ  
კიდე ყარხარ,

ამას მიტო გეუბნები  
რო მიყვარხარ.

კიდე ისმის ბაყაყების  
აქ სიმღერა!

წუხელისაც ამიტება  
გულის ძგერა....

გაისაჯე, ამოაშვრე  
ჭაობები,

თვარა, ძმობამ, იცოდე რო  
დაობდები!...

თამა ზუსა.

ძუთაინი. აქაური „ხაზარ-ხუზარი“.

«სავალდებულო დადგენილება». . . . .  
წელს, ქუთაისის ვაჭრებმა დაადგინეს შემდეგი: „მივიღეთ რა

ახალთაობის ყმაწვილი ეკითხება თავის ბიძას — რომელი  
კია რითი მოსწონს.

— ბიძაჩემო, მონარქისტი რითი მოგწონს?

— მონარქისტი რომელია? ხელმწიფე რომ უნდა—ისაა?

კია ბიძაშვილობამ, უფროსი გეყოლება და შენისთანა  
ვები თავს არ ეიგდებენ... იმე ხმას ნუ ამეიღებო, ყველა-

იმე მომეცი—შენ ნურაფერს!... იმე!...

— ანარხისტი?

— ეს ძაან პარტია მეიგონეს... შენსას ქე წაგართმევ  
მესას არაფერს მოგცემო... სწორედ კია!

— ფედერალისტი?

— ჰა მაგენის არაფერი გამეგება... ყველაფერს მოხვი-  
ლი... გაუმადლარ მღვდელს გავს... და ვერაფერს აკეთებენ

— კადეტების—ხალხთა თავისუფლების პარტია?

— ბიძაშვილობას მაგას ნუ მეტყვი!... ოუშვი აღვირი  
ყაზახს... დაგეძგერება გულზე და გადაგაბრუნებს..

ერობა?!... გროშად არ ეღირება! ყაზახი დაბმული არა,  
ბული რა უნდა იყოს.

— ებრაელთა ბუნდი?

— იგენის საქმე მუდამ ბუნდათ იყო და ბუნდად დარ-

— პოლონელთა კოლო?

— იგენს დიდი ხანია კალოც წაართვეს და სალენიც.  
— რევოლუციონერები?

— ჰა! გადარეული ხალხია?

— სოციალისტები?  
— დეიდუპონ იქით! გლახები არიენს რამდენიხანია  
სავენ და საზღვარს კი ვერ მიაღწიენ..

— ავტონომისტი?

— ევე... მაგია, ბიძია, ჩემი საქმე! იმე, პრისტობას  
ვიშონი და კია ჩემთვის!..

— ოქტომბრისტიები?

— მაგი შემოდგომა არაა? კია შენმა გაზდამ—მიუ-  
ბუხარს წვი კვანხი და დააყოლე ზედ მაქარი... სწორედ

— „ქეშმარიტი რუსებისა“?

— იმე, სადაური ქეშმარიტი რუსებისაა, როცა შიდ  
ერთი ნამდვილი რუსი არ ურევია! აგი ქეშმარიტი კი არა,  
ზეხ ყალბი პარტია!

— ესდეკების პარტია?


— დეიდუპონ იქით—ვინცხა ბიკ-ბუტები შეყრილან!  
— მისდექი! მოგვსდგენ და სულ ერთიანად წაგვპილ-


— დემოკრატი?

— დემოკრატი? გაბრაზდა ბიძია—იმე, იმგენს კი გა-

ეშმაკმა კვანტი!... იმგენმა ამოაგდეს ჩემი ოჯახი და  
შევიყვარებ?

ტესლიანი.





მხედველობაში, რომ 1904 წელს ვაჭარ ნოჭართა შეერთებულ-  
მა კომისიამ, ორივე მხრის თანახმობით, დაკანონა 10 სა-  
ათის სამუშაო დღე\*). საეჭრო სამრეწველოებში და ამით დი-  
დი ზარალი მოუტანა ნოჭარებს მით, რომ 1) ზედმეტ თავისუფ-  
ალ დროს ანდომებენ ჟურნალ-გაზეთების და სულელური  
ბროშურების კითხვას, რამაც „გარყვნა“ და ტვინი „გამო-  
ულაყა“, რომ 2) ზედმეტი თავისუფალი დრო იწვევს ზედმეტ  
ხარჯებს, რასაც აუცილებელად მოჰყვება გაფიცვა, ჯამაგი-  
რების მომატების მოთხოვნით და გაფიცვა კი ძალაუნებურად  
მათ ამოაყოფიებს თავს იქ, საცა მათი „ნამდვილი“ საცხოვრე-  
ბელი ადგილია, ამიტომ ვაღვანთ შემდეგს: დღეიდგან გაუქ-  
მებულად ჩაითვალოს ხსენებულ კომისიის შემუშავებული  
სამუშაო დღის ნორმა და დაკანონდეს ახალი, რომლის ძა-  
ლითაც მაღაზიები გაიღება, ვისაც რა დროს უნდა, მხოლოდ  
არა უგვიანეს 6 საათ, და დაიკეტება არა უგვიანეს 8—9 საათ.  
გამომცხადებელია კონკურსი: ვინც უფრო ადრე მოასწრებს  
გაღებას და გვიან დაკეტვას, მას მიეცემა „პრემიათ“ 2 მა-  
გივრად—ნ დოზა... „ნიშადური“.

**ბოროტი აღამიანები** ხმებს ავრცელებენ,  
ვითომ ზოგიერთა „ტუზი“ ნოჭარები ამხანაგებად შესულიყვ-  
ნენ მოგების ნაწილში ხაზინებთან და სულ მათი ოინები  
იყოს, რომ ასე „აირია მონასტერი“ და ვისაც რა დროს უნ-  
და, თავის სურვილისამებრ აღებს და ჰკეტავს მაღაზიებს. თუ  
ეს ხმები სიმართლეს მოკლებული არ გამოდგა, დაგვირდება  
„ნიშადურთან“ ერთად, სპეციალისტი მასხურებელიც.

**მის გახსნება პრემიის ღირსი?** ოპირის ქუჩის ვაჭ-  
რები დაჯიბრებულან „კოლეგების“ დანიშნულ პრემიის აღე-  
ბაში და გაუგონიათ რა „ნიშადურის“ გულ-კეთილობა, სას-  
ტიკად ებრძვიან ერთმანეთს. ნუ გააწბილებთ და მოუმატეთ  
რავდენიმე დოზა. გარდა იმის, რომ გაუთენებლივ აღებენ მა-  
ღაზიებს და დაკეტვას კი „პეტრე უარმყოფელის მამლის“ მე-  
სამე ყივილს უტდიან, კვირა-უქმე დღეებშიაც ვაჭრობენ,  
მხოლოდ ისე რომ ვერაფერ შეამჩნევს თუ ძალიან მრ დაუკ-  
ვრდა. მაღაზიას გარედგან კლიტე აღევს, კარებს წინ ხაზი-  
ნი სკამზედ დაბჩანებულა, ნოჭარი დაკეტულ მაღაზიაშია, თუ  
მუშტარი მივიდა, ხაზინი ჰუჭურტანიდგან ყველაფერს დაა-  
ზადებინებს ნოჭარს და 2—3 წამში ყველაფერი მზად არის.  
განსაკუთრებით ეჯიბრებიან ერთმანეთ „პრემიის“ აღებაში ბბ..  
საინოვი, ქომეთიანი, ნადირაძე, ნარსია და სხვ. ვნახოთ, ვინ  
გახდება პრემიის ღირსი.

**„რჩევა“.** ცუდი არ იქნება, თუ ოიდი ხნის მიძინე-  
ბულ „ქუთაისის საეჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მო-  
სამსახურეთა „დამხმარე“ კასისი“ გამგეობასაც ვუტხუნებთ  
თქვენგან გამოგონილ უებარ საშუალებებს. იქნება როგორმე  
გამოფიხილდეს, მოიწვიოს საზოგადო კრება და აუწყოს წევ-  
რებს, თუ რა მდგომარეობაშია ამ „კასისი“ „კასისა?“

**სოლერის მოლოდინში.** სანიტარულ კომისიას  
დაეძინა. ქუჩებში შესანიშნავი „სისუფთავეა“. კომისიის როლს  
ქალაქის „მამების“ დაუკითხავად ასრულებენ ოთხ-ფენა „სანი-  
ტარები“, რომელნიც ყოველ ღონისძიებას „ხმარობენ“ ხო-  
ლერა და შავი ჭირი ჩუმად კი არ შემოეპარათ. აშკარად,  
უშიშრად შემობრძანდეს ქალაქში.

**სამასაშო აღვილი.** მ. ოცნებების ახლად აშენე-  
ბულ სახლის წინ, „კანავოს სახით, „მასაქის“ გასაკეთებელი  
კაბინეტი დაარსდა. ვინც გადავარდება „კანოვო-კაბინეტი“ში\*.

\*) ამ დადგენილების ძალით მაღაზიები იღებოდა დი-  
ლის 8 საათზედ და იკეტებოდა საღამოს, 6 საათზედ. ავტ

ავტომატიურად უკეთდება „მასაქი“, რომელიც ზოგჯერ  
ძვლამდისაც უწყეს. ეტყობა ქალაქის მამებს ვერაფერ შემუ-  
ნიშნავთ, თორემ აქამდე გადასახადს დაუწყებდნენ ქუჩის  
მუშაო.

**მხიანი.** (გურია) პარტიული ბრძოლა. თუმცა  
ამ ორი—სამი წლის წინეთ მთელი გურია კი სოციალისტობდა  
და სიტყვით. მაგრამ საქმით თუ ასე მართლა მომზადებულ  
იყვნენ სოციალურ რევოლიუციისათვის, არ მეგონა: ერთმა სო-  
ციალისტმა ქორწილი გააკეთა, სადაც კაპიტალისტებს და  
მემამულეებს რიცხვით პროლეტარები, გლეხები სჭარბობდნენ  
და ამ უკანასკნელებს კიდევ მუშტაძები. აი, ამ პროლეტარ  
მუშტაძებმან განიძრახეს სოციალურ რევოლიუციის მოხდენა  
და კიდევაც მოიყვანეს სისრულეში. რევოლიუცია დაიწყო  
დღისით ოთხ საათზედ და გასტანა თითქმის შვიდ საათამდინ.  
ამ ბრძოლაში ძალზედ მოიბეგვენ ნასოციალისტარი გიბრები  
ალექსანდრე, ამხანაგი გიგო, სოციალისტი დიანოსე, დემოკ-  
რატი მელიტონ, სოციალისტები პეტრე და ივლიანე, დემოკ-  
რატები გრიგოლ და პლატონ.

ვეფხვივით იბრძოდა ამხანაგი ონისიმე, რომელმაც ერთ  
თი დაკვრით გააგორა სოციალისტი დიანოსე. სკამიც მოხვე-  
და დემოკრატ პლატონისგან სოციალისტს ნიკოლოზსაც.  
არც სოციალისტები ანტონ და რაქდენი დარჩენილან უკაც-  
რავად; დაშავდა აგრეთვე შემთხვევით გამვლელი მგზავრი, ა  
შესანიშნავმა ბრძოლამ წარმოშვა საგვარეულო პარტიები,  
რომელთა შორის თავიანთი ძლიერებით აღსანიშნავია დიცხა-  
ლაიფილების და წულაძეების პარტიები. სიხანს ქვიანლების  
თვინ უქმად არ ჩაუვლია პარტიულ პროპაგანდას. გაუმარჯო  
ძმობას, ერთობას, სიყვარულს და ამხანაგობას!!!


ამ ბრძოლის მნახველი ქვიანელი ყანის მუშა.

**ჩიზათი** „ენციკლოპედიური“ დაწესებულება.

კრებებზე დასწრება გსურთ—წადით აფთიაქში.  
ესდევთა ბელადებს—იქვე ნახავთ.  
„სოციალისტკაც“—ნუღამ იქ არის.  
ბოიკოტის გამოცხადება—აფთიაქში სწყდება.  
ჩხუბს და შფოთს—აფთიაქში დაესწრობით.  
არშიყობის გაკვეთილები და გამოცდა—იქვეა.  
ესდევების „პენციას“—არიგებენ აფთიაქში.  
ბანქობანა ყომარბაზობაც—აფთიაქშია.  
სიკვილსაც—აფთიაქში მონახავთ.  
ყვლეფაც—არ ავცდებთ აფთიაქში.  
ერთის სიტყვით აფთიაქში  
უნვათაა ყველაფერი,  
ზედატყვია ყოველმხრივად  
ამ დროული მას ელფერი!...

**ბელაგორი.** აქაური ავ-კარგი ბევრი დაბა მინ-  
ხავს, ბევრზედ გამიგონია, მხოლოდ ბელაგორისთანა თორჯ-  
ლი, ასეთი ჩამოკვეთებული და დაძაბუნებული იშვით  
შემხვედრია. არ ვიცი ვინ დაარქვა ბელაგორს დაბა, დაბა  
არა სულ ჩამორჩენილი უბრალო სოფელია... ბაზარი ღი-  
აქვს, მხოლოდ აქაურ ვაჭრებზე ლაპარაკს—დაჩუმება სჯობ-  
ამ ჩვენ პატარა სოფელში სამკითხველოს არსებობ-  
გამიგონია—ნახვით კი ჯერ არავის უნახავს და ვერც მე  
ხე. თითო ოროლა სკოლებიც არის. გაზეთებს სამი  
იწერს...

კაკო



აქ სავადმყოფოც გვაქვს. ეს კი ერთად ერთი რეალური  
 სტუდენტია: ექიმი კარგია, მხნე და ბეჯითი ადამიანი—  
 ერთია და მისი სახელის გაგონება ათასი. ყველა ემა-  
 ჯობება. კარგი და მეტად სასიამოვნოა პატარა ადგილას  
 კაცის ყოლა.

ჩვენი მსახურებს ბ-ნი თევზაძე. რა რჯული თევზე-  
 ბას ეკუთვნის ძნელი გამოსაცნობია... ადამიანი მას არ  
 ბა—ადამიანს ისიც ვაუბრის. ეს ვაუბატონი რკინის-გზის  
 უფროსის თანაშემწე—და რასაკვირველია, ესეთი  
 პატრონს, თუ თქვენ ვერ ამჩნევთ, თვითონ გაგა-  
 მს თავს. მაგალითად სადგურზედ გაისეირნეთ: აგივლის-  
 ლის, ერთს აგზედ-დაგზედავს და თუ ამ დროს თავიანი  
 ცივით, ჟანდარმის წყალობით ორ-სამ საათს მოგაცდენს  
 მხოლოდ ჟანდარმი და ოხრან, —ოხრანა და ჟანდარმი—  
 და. მაგაზე ქე იყო „ნიშანდურში“ მოთხრობილი შესა-  
 ხობტა—შესსმა.

ჩვენი დაბა ს ზაფხულოდ ადგილს წარმოადგენს... თქვენ  
 ლს წინ წარმოუდგება მშვენიერი თვალ უწვდენელი მილა-  
 ბი—კარგი სანახავია განსაკუთრებით დილით მზის ამო-  
 ბასას, და საღამოს—ჩასვლისას—რასაც ხელს უწყობს  
 აძე ძირულას შხრიალ—შხუილი.

ზაფხულობით აქ ბევრი მოზარდი ახალ გაზღობაა. აქ  
 გარა სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელიც დრო გამო-  
 ბით სდგამს ქართულ წარმოდგენებს, საუბედუროთ შესა-  
 შენობა არ აქვთ, რის გამოც „ციგნებივით“ თავის  
 რაციებს ხან ვის ეზოში მიათრევენ ზ ხან ვისაში. წარმო-  
 ბები რიგიანად მიდის; როგორც სჩანს, სცენის მოყვარეთა  
 აქვე უყვართ და თავის შრომას არ ზოგავენ—საზოგადოე-  
 თანაგრძობით ეკიდება.

დაბას ეტყობა სიღარიბე.. ხშირად გაიგონებს კაცი,  
 ბს „ლაშის“ ფული შამაღ... დღეს ასეა ჩვენი ბელა-  
 —ხარაგოული!

**ბიჭი—ბიჭი.**

**„პრაპაგანდისტის“ სიმღერა**

„მე ვარ და ჩემი პარტია  
 ქვეყნათ მომფენი ნათლისა;  
 ბეჩავი მოძმის გამყვლეფი  
 და მატყუარა ხალხისა!  
 დავდივარ დაბა სოფლებში  
 ვმართავ მიტინგს და კრებასო;  
 მოქარგულ ენით ვავრცელებ  
 სულ ყველგან მარქსის მცნებასო!  
 გლეხებს ვპირდები „სამოთხეს“  
 თავად-აზნაურთ მამულებს;  
 ვაძაგებ მღვდელს და ბურჟუებს  
 გლეხთა ზურგზედ გასუქებულს!  
 თავიანთ ენა სამშობლოს  
 ვასწავლი მათ დაგმობასა;  
 თვის ტომარის უარ ყოფას,  
 რუს თათარ-სომხის ძმობასა!  
 ქალებს მივმართავ: „თუ დღეს შენ  
 დააკარ-კეცხედ მჭადია;

ხვალ კი ქმარმა მჭადი აცხოს,  
 შენკი—კრებაზედ წილია!“  
 გასათხოვრებს ტკბილათ ვეტყვი:  
 „ვინაც გსურთ მათ წაყვიეთო;  
 უკანონო ქმარს რაღა სჯობს,  
 ბევრს გამოიცვლით ღზინითო!“

ამ დაპირებით ლაქუციით  
 მომელის ხაჭაპურები;  
 სადილ-ვახშმები და ღვინო  
 ჯიბეშიც „წრისა ფულები!“  
 გათენებამდინ შექცევა  
 ნარდი, ღომინო, კარტია;  
 გიტარის დამკვრელ ქალთ გუნდი  
 ირგვლივ ყოველ ღამ მარტყია!  
 არას ვწუხვარ, არას ვნადგლობ  
 და ვიქნები მე ამ დღეში,  
 სანამ ან-ბან გან-დონები  
 გვეყოლება სათავეში!..

ტ. გელაძე.

**.....ისტავი**

ხუთი ამხანაგი ერთათ შეხვდნენ, და ბასი  
 გააბეს.  
 აბა რა ბევრი ვილაპარაკოთ, მოდით, ერთი  
 სველი ლუკმა ვჭამოთ და კარგი ღვინოც დავლიოთ!  
 — მერე იცი სად არის კარგი ღვინო? უთხრა  
 გეურქამ.  
 — ვა, მაშ რაღა ვიცი, თუ ეგეც არ ვიცო-  
 დე? მამა გიცხონდა, მაშ კრუუოკი და კლუბები მე-  
 ცოდინება აი.  
 — მაშ წავიდეთ, რაღა? წამოიძახეს ერთათ.  
 გაიარეს ცოტა და ერთ „პადვალში“ კი ჩა-  
 ვიდნენ.  
 ცოტა ხნის შემდეგ „პატრულმაც“ გამოიარა  
 და მოქეიფეებს „ობისკი დაარტყეს“ და უჩასტკაში  
 წაასხეს. თან „პადვალჩიკიც“ წაიყვანეს.  
 პრისტავმა ახედ-დახედა და შემდეგ უთხრა:  
 — თქვენ ვინა ხართ ან რომელ პარტიას ეკუ-  
 თვით?  
 — მე! პრისტავჯან მე ვარ „პადვალისტი“  
 და ღვინის გამყიდველისტი ვარ უმტკიცებს სირაჯი.  
 — ძალიან კარგი! უთხრა პრისტავმა და გაი-  
 სტუმრა.  
 — თქვენ ვილა ხართ, აბა ჩამომითვალეთ თქვე-  
 ნი პარტიების სახელებიცა?.. შეეკითხა დანარჩენებს.  
 — ჩვენ!? პრისტავჯან ამ ნიმუტში გეტყვით.  
 — მე ვარ „დამსხმისტი“ და „მიმწოდებლისტი“.  
 — მე კიდევ „დამღვეისტი“.  
 — მე, შენი ჭირიმე, სადღეგრძელოების „მთქმე-  
 ლისტი“, ესე იგი, „თამადისტი“.



სანადიროდ



ნადირობიდან

— მე კი „მყიდველისტი“.

— შენ რომელს პარტიას ეკუთვნი რომ გაჩუმებულხარ? უთხრა პრისტავმა სანდროს.

— სანდრო, რას გაჩუმებულხარ, უთხარ რაღა, რისა გეშინიან!..

— ვა, მოიცა რაღა, ვიფიქრო... ვეტყვი!

— მე ვარ, პრისტავჯან, დამფრალისტი, და ქუჩებში ჩხუბის მომხდენლისტი, სკანდალისტი და მერე სახლში გვიან მიმსვლელისტი.

— აბა ეს „ზარეშოტკაში“ ჩაგდეთ და იქ ამყოფეთ ორი დღე, რომ მოიშალოს ამ პარტიაში მონაწილეობის მიღება.

— არა, პრისტავჯან, მაგისტვის ნუ დამიჭერთ!

— ბევრს ნუ ყბედობ, ამდენ ისტებში ძლივს ერთი ისეთი გამოჩნდი რომ შეიძლება კაცმა „ზარეშოტკაში“ ჩაგსვას და გაგანთავისუფლო?! წაიყვანეთ! უბრძანა ბოქაულომა და სანდრუას ვირის გალიაში ამოაყოფინეს თავი.

საშა

† მასილ პეტრიაშვილი.

27 ივლისს ქალაქ კარლსბადში ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი. ვასილ პეტრიაშვილი დაიბადა თფილისის გუბერნიაში 1845 წელს. თფილისის სასუ-

ლიერო სემინარიის დასრულების შემდეგ ის შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც სწავლა ჩინებულად დაამთავრა 1870 წელს. უნივერსიტეტი დასრულების შემდეგ ახალგაზდა მეცნიერი, მილიეროპაში ცოდნის შესაძენად. ისმენს იქ საუკეთესო ქიმიკოსების ლექციებს და 1874 წელს ისე ბრუნდება ოდესაში, სადაც საუცხოვრო დისერტაციის შემდეგ ქიმიის მაგისტრობას აძლევენ. 1877 წელს ვასილ პეტრიაშვილს უკვე დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. აირჩია თავის სპეციალობად ქიმიკოსი და ტენზოლოგია, ვ. პეტრიაშვილმა ეს საგნები შედმიწვევით შეისწავლა და თავისი თხზულებები გამაღიღრა არა მარტო ქართული და რუსული, არამედ ევროპის სამეცნიერო მწერლობაც. პეტრიაშვილი პირველ დღიდან უკანასკნელამდე უყურადღებო არასოდეს არ ტოვებდა თავის ქვეყნის ინტერესს და გამუდმებით მის კეთილ დღეობის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, ხოლო ამ უკანასკნელ ხანებში განსვენებულ მეცნიერი სულ იმის ნატვრაში იყო და გადაწყვეტილ ჰქონდა კიდევ, რომ თავისი უკანასკნელ დღენი საქართველოში დაეღია მის დღევრძელობის სამსახურში, მაგრამ უწყალო ბედმა სხვაფერად გადაწყვიტა საქმე. ვასილ პეტრიაშვილი ისეთი ადამიანია რომლის სახელით დიხანაც შეუძლიან იამაყოს საქართველომ.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.

მსწრაფლ-პეტიციონი სტამბა „მომბისა“ მოსკოვის ქუჩა № 5.